

ხშირად დასმული კითხვები

1. **კითხვა:** დაფინანსების შემთხვევაში როგორ მოხდება შეძენილი საშუალებების გადატანა ადმინისტრაციულ საზღვარზე?

პასუხი: პირი თავად უზრუნველყოფს შეძენილი საშუალებების ადმინისტრაციულ საზღვარზე გადატანას, ასევე კომისია განიხილავს ცალკეულ შემთხვევებში დახმარების შესაძლებლობებს;

2. **კითხვა:** სად უნდა მოხდეს მიღებული პროდუქციის რეალიზაცია?

პასუხი: მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია შესაძლებელია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ასევე შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი ექსპორტი;

3. **კითხვა:** გამყოფ ხაზზე პროდუქციის, ან ნედლეულის გადატანის დროს გვიწევს გარკვეული თანხის, რეჟიმის მიერ დაწესებული "ოფიციალური" გადასახადის გადახდა. შესაძლებელია, თუ არა, აღნიშნული „გადასახადის“ გრანტის თანხით გადახდა?

პასუხი: გრანტის თანხით აღნიშნული ხარჯის დაფინანსება აკრძალულია.

4. **კითხვა:** ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლა პრობლემურია, როგორ უნდა მოხერხდეს იქ წარმოება?

პასუხი: ბენეფიციარი უნდა იყოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირი, რომელსაც აქვს აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრების და საქმიანობის შესაძლებლობა.

5. **კითხვა:** კონკრეტულად რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ფიზიკურმა პირმა?

პასუხი: ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან ნეიტრალური დოკუმენტი, ან რეგისტრირებული უნდა იყოს, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირი და მინიჭებული უნდა ჰქონდეს პირადი ნომერი.

6. **კითხვა:** რამდენად შესაძლებელია წარმოებისთვის საჭირო დანადგარის იმპორტით შეძენა?

პასუხი: გრანტის თანხით დანადგარის იმპორტით შეძენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანადგარის განბაჟება განხორციელდება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7. **კითხვა:** როგორ განხორციელდება წარმოების პროცესის მონიტორინგი და ვინ განახორციელებს მას?

პასუხი: პროცესის მონიტორინგს საერთაშორისო ორგანიზაციები განახორციელებენ.

8. **კითხვა:** სავალდებულოა, თუ არა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირისთვის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა ამხანაგობის რეგისტრაციის დროს?

პასუხი: სავალდებულოა ამხანაგობის ყველა წევრის რეგისტრაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ამხანაგობა დარეგისტრირებულად ვერ ჩაითვლება.

9. **კითხვა:** იგეგმება, თუ არა ტრენინგი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში?

პასუხი: პროგრამის ფარგლებში ტრენინგი დაგეგმილი არ არის, თუმცა სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია.

10. **კითხვა:** გრანტის თანხით შესაძლებელია არსებული წარმოების გაფართოება, თუ შესაძლებელია სტარტაპის დაფინანსებაც?

პასუხი: პროგრამის ფარგლებში, შესაძლებელია როგორც არსებული, ასევე, სტარტაპ ბიზნესის დაფინანსება.

11. **კითხვა:** რამდენ ხანშია შესაძლებელი წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია? მაგალითად, საქონლის, ან ფრინველის შემთხვევაში, პროდუქციის გაყიდვა?

პასუხი: პროგრამის ბენეფიციარი ვალდებულია პროფილი შეინარჩუნოს გრანტის მიღებიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში. პროდუქციის რეალიზაციის ვადები პროგრამით განსაზღვრული არ არის და დამოკიდებულია წარმოების პერიოდსა და ხარისხზე;

12. **კითხვა:** დაფინანსების თანხის რამდენი პროცენტი უნდა გაიხარჯოს ძირითად და რამდენი პროცენტი საბრუნავ საშუალებებზე?

პასუხი: გრანტის თანხიდან 80% ძირითადი საშუალებებისთვის, 20% კი საბრუნავი საშუალებებისთვის უნდა გაიხარჯოს.

13. **კითხვა:** შესაძლებელია, თუ არა სატრანსპორტო საშუალების შეძენა?

პასუხი: სატრანსპორტო საშუალებების შეძენა აკრძალულია;

14. **კითხვა:** შესაძლებელია, თუ არა გრანტის თანხით ტრაქტორის შეძენა?

პასუხი: დიახ, გრანტის თანხით შესაძლებელია აგრარული ტექნიკის, მათ შორის, ტრაქტორისა და მოტობლოკის შეძენა;

15. **კითხვა:** ბიზნესიდეის განხორციელების პროცესში, საჭიროა, თუ არა ბენეფიციარის ფინანსური თანამონაწილეობა?

პასუხი: აღნიშნული პროგრამით ბენეფიციარის თანამონაწილეობა არ მოითხოვება.

16. **კითხვა:** გრანტის მოპოვებისა და წარმოების განხორციელების შემთხვევაში, სავალდებულოა, თუ არა დაფინანსების თანხის დაბრუნება?

პასუხი: მიზნობრიობის შესრულების შემთხვევაში (ბენეფიციარი ვალდებულია გრანტის თანხა გახარჯოს ბიზნესგეგმით გათვალისწინებული საჭიროებების დასაფინანსებლად) თანხის დაბრუნება არ მოხდება.